10 ს ფებერვალს. № 5. 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1886

«მწყემსი» დამატებით გამოდის თვეში სამჯერ. ყოველი თვის ათს, ოცს და ოც და ათ რიცხვებში.

F491

დავიჯეროთ?

ამას წინედ ერთი სამწუხარო ხმა გავრცელდა— ხმა სამღვდელოებათა ყრილობის მოსპობისა. ამ ხმებმა ძლიერ დაალონა ყველა ისინი, ვისაც გული შესტკივა სამღვდელოების კეთილ-წარმატებისათვის.

სხვა-და სხვა შესანიშნავ ცვლილებათა და რეფორმათა შემოღების დროს სახორციელო უწყებაში, შესანიშნავმა ადრინდელმა სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელმა ტ.ლსტოიმ სასულიერო წოდებისთვის შეადგინა სასწავლებლების ახალი წესდებულება. ამ წესდებულებას სასულიერო წოდებაში მოჰყვა სხვა-და-სხვა ახალი წესები და რეფორმები. ეს რეფორმები სასწავლებლიდამ დაიწყო. მმართებლობას არა ჰქონდა იმდენი შეძლება, რომ მარტო ხაზინის ფულით შეენახა სასულიერო სასწავლებლები. ამისათვის თითქმის ნამეტანი ნაწილი, ზოგიერთ ადგილას მაინც, სასწავლებლების შესანახავი ფულებისა სამღვდელოებას დააწვა თავზე... ამ ცვლილებამ ძალა-უნებურად დაბადა სამღვდელოების წარმომადგენელთა შეკრებილება. კრებაზე სამღვდელოების წარმომადგენელთ მსჯელობა უნდა გაემართათ სასწავლებლის შესახებ. შეეძლოთ მათ აგრეთვე სხვა საეპარქიო საქმეებზედაც გაემართათ ბაასი და მსჯელობა...

ყაცი თავის საქმეს თვითონ უფრო მიხვდება და ერთგულად მოეკიდება, თუ მას თავისუფლება აქვს მინიჭებული თავის საქმეზე ზრუნვისა. ვინ არის მტერი თავის თავისა!

სამღვდელოებამ თითქმის ყველგან დაამტკიცა აშკარად, რომ იგი სრული წლოვანი იყო და თავიანთ საქმეებზე ზრუნვა კარკად შეეძლო...

სასწავლებლის წესდება რამდენად წინ დახედვით იყო შედგენილი პირველიდგან და რა სასარგებლოდ დარჩა საზოგადოებისათვის, ჩვენ ამაზე არაფერს ვიტყვით. ყოველ გვარი რეფორმა და ახალი შემოღებული წესი იცნობა თავის კარგის და ცუდის შედეგებით. ყველას თვალ წინ გვაქვს ახალი სასწავლებლის წესდებულებისაგან წარმომდგარი ნაყოფი... ეჭვი არ არის, რომ სასწავლებლის მხრით სასწავლებლის ახალი წესდებულება ბევრათ წინ დგას სასწავლებლის ძველ წესდებულებაზე. და მასწავლებელთა ჯამაგირის საქმე ტოლსტოის ახალმა წესდებულებამ უმაღლესს ხარისხზედ აიყვანა. იქ, სადაც ათი და ოცი თუმანი იყო დანიშნული წლიურ ჯამაგირად მასწავლებლისათვის, ექვსასი მანეთიდამ ცხრაას მანეთზე აიყვანა. სასწავლებლის ზედამხედველებს და მათ თანაშემწეთა, აგრეთვე სემინარიის რექტორებს და მათ თანაშემწეთა ჯამაგირები გაუდიდა. ყველა ეს ფულს თხოულობდა, მაგრამ საეკლესიო ხაზინაში ამდენი ფული არ მოიძიებოდა.

აი ამ შემთხვევაში გამოიჩინა სამღვდელ.ებამ თავი. სამღვდელოებამ დაამტკიცა საქმით, რომ იგი არაფერს არ ზოგავს თავის შვილების სასწავლებლად; მან დაამტკიცა, რომ ის ერთნაირად ზრუნავს საერო წოდების შვილების აღზრდაზედაც. ეს დაამტკიცა მით, რომ ყველას გაუღო სასულიერო სასწავლებლის კარი. მთელს სახელმწიფოში რომ ჩამოვთვალოთ სამღვდელოების კრებათაგან დადგენილი ყოველ წლობით სასწავლებლის შესანახავად შესატანი ფულის რიცხვი აღემატება დღეს ორ მილიონს. ამათ გარდა სამღვდელოების კრების წყალობით აშენდნენ მრავალს ადგილას სასწავლებლის

სახლები; აშენდნენ მრავალს ადგილას მშვენიერი შენობები მოსწავლეთა საზოგადო ბინად და ვინ ჩამოთვლის ყველა იმ კეთილს საქმეს, რაც ამ სამღვდელოების კრებისაგან წარმოსდგა.

ამას გარდა დიდი სარგებლობა მოიტანა სამღვდელოების დროდროით შეკრებილებამ ყოველს ეპარქიებში. მწყემსნი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, გარდასცეს მათ თავის გაჭირება და დალხინება ერთმანეთს, გააგებინებს თავიანთ სამწყსოთა მდგომარეობა ერთმანეთს, დაფიქრდნენ, საჯეს ბევრ ნაირად და გამონახეს ერთი ერთმანეთის დაკითხვით სხვა-და-სხვა ზომები და საშუალებანი თავიანთ სამწყსოთა ზნეობით და გონებით ამაღლებისათვის. სამღვდელოება ეხლა უფრო მხნედ ებრძვის სიბნელეს. ამაოდ მორწმუნეობას და უზნეობას. სამღვდელოების კრებამ მრავალი რამ კეთილი დაჰბადა. სამღვდელოება გაალვიძა ამ კრებებმა და გამოახელია თვალი. ამ კრების წყალობით ამოიღეს მათ ხმა და შეატყობინეს სასულიერო მმართებლობას და საზოგადოებას, რომ ისინი მეტად დაჩაგრულნი არიან ყველა საგან. ამოიღეს ხმა ზოგიერთ გათამამებულ ბატონების წინააღმდეგ. აქ კრების წყალობით ხშირად გამოაშკარავდა ისეთი საქმეები და საქციელნი ზოგიერთა პირთა, რომელნიც სამუდამოთ დაფარულნი დარჩებოდნენ უამკრებისოდ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არაფერი არაა ამ ქვეყანაზე მტკიცე და საუკუნო!... არაფერი არ რჩება შეურყეველად...

(გაგრძელება იქმნება.)

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა შეკრებილება ქალაქს ქუთაისში 18, 19 და 20 დეკემბერს.

(დასასრული. *)

მეორე დღეს, ესე იგი 19 დეკემბერს თითქმის ყველა დეპუტატები, რომელნიც წინა დღეს არ დასწრებიან კრებას, მოვიდნენ. ამ დღეს დეპუტატებს ჰქონდათ მსჯელობა ემირიტალური კასის დაარსების შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ეს სიტყვა ქართული არ არის და ყველა დეპუტატებს არ ესმოდათ კარგად მისი მნიშვნელობა. ამ დაწესებულების მნიშვნელობა განუმარტა დეპუტატებს ერთმა პირმა, მაგრამ ზოგიერთმა დეპუტატებმა ვერ გაიგეს კარგად ეს განმარტება. ერთმა მღვდელმა, დეპუტატმა, იკითხა: «როგორ და როდის ვისარგებლებთ ამ კასის ფულითო?» «როდესაც მოგვკვდებით», უთხრა ერთმა პირმა, «შემდეგ ისარგებლებთო». ბოლოებულმა ამ ცნობის მოყვარე დეპუტატმა შემოსძახა: «ვინ მომიტანს, ბატონო, ამ ფულს საიქიოს?!» ამის შემდეგ თითქმის ყველა დეპუტატებმა ერთხმად დაიძახეს: «არ შეიძლება კასის დაარსება». დაბრუნებული ფულის გამოტანა და მიღება გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენ და დღეს თითქმის ნახევრობაზე მეტ დეპუტატებს ვექილობაც აქვს გამოტანებული მათ მარწმუნებლებთაგან ამ ფულების მისაღებად. დეპ. მღვდელმა დ. ღამბაშიძემ სიტყვის ნება ითხოვა. რამდენიმე დეპუტატებმა დაიძახეს: «თუ კასის დაარსებაზე უნდა ლაპარაკი მ. ღამბაშიძეს, გთხოვთ, თავს მჯდომარეე, ნულარ აგრძელებთ ამ საგანზე ბაასს. ჟურნალი შეადგინეთ და გაათავეთო». მაგრამ თავს-მჯდომარისაგან დეპუტატმა ღამბაშიძემ მიიღო ნება სიტყვისა და სთქვა შემდეგი: «თქვენ, მამანო დეპუტატნო, წინ-და-წინ გარდაგიწყვეტიათ ამ ფულების უკან დაბრუნება და მიღება და დღესეც არა გსურსთ თქვენ ამ ფულების დატოვება, მაგრამ, რადგან ამ ფულებით ემირიტალური კასის დაარსების თაობაზე გვაქვს მსჯელობა დღეს, რასაკვირველია, ყველას აქვს ნება თავისი აზრი თავისუფლად გამოსთქვას. თუ მოგეწონებათ ეს აზრი, მიიღებთ და თუ არა, თქვენი ნება იქნება». შემდეგ მოკლეთ განუმარტა კრებას ემირიტალური კასის მნიშვნელობა და მისი სარგებლობა. «რასაკვირველი, დაიწყო მან, ჩვენი ყოვლად სამღვდელო ბაბრიელი ყველაფერ ზომას ხმარობს თავისის სამწყსოს კეთილმდგომარეობისათვის და ამ ემირიტალური კასის დაარსებაც ამ მიზნით განიზრახა მან. ჩემდა თავად უნდა ვსთქვა, რომ მეც თქვენთან არა ვარ თანახმა ემირიტალური კასის დაარსებაზე. არა მისათვის, რომ ვითომ ეს დაწესებულება სასარგებლო არ იყოს. არა; აქ სულ სხვა მიზეზი მაქვს სახეში. იმერეთის სამღვდელოებას დღეს არა აქვს საკმაო რიცხვი სასწავლებლებისა, რომ ყველა მსურველს შეეძლოს შვილები გამოზარდოს... წარსულ წელში რამდენიმე პირთ დაუბრუნეს შვილები ადგილის უმეცნებლობისა გამო. მას არა აქვს თავისი სემინარია და თბილისის სემინარიაშიაც თავისი ფუ-

*) იხილე «მწყემსი», № 4.

ლით არ აქვს ერთი სტიპენდიის ადგილი; არა აქვს ქალების სკოლა ერთ-კლასიანი მაინც. შვილები უსწავლელი ურჩება შეუძლებლობისა გამო და, დროით თუ უდროოთ, მათი სამრეველოები დაშთება სულ სხვა პირთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ემირიტალურ კასაზე მსჯელობას ზოგიერთები კიდეც დაგვძრახვენ; მაგრამ ამ ფულების მიღება და უკან დაბრუნებაც სასირცხო იქმნება. მიუცილებლად საჭიროა ამ სასწავლებლის გაყოფა, ან მეორე ოთხ კლასიანი სასწავლებლის გახსნა, რომ ჩვენი შვილები სულ უსწავლელები არ დაგვირჩეს. მიუცილებლად საჭიროა სემინარიაში მოსწავლე შაგირდების მდგომარეობის გაუმჯობესება. საჭიროა ერთ კლასიანი ან ორ კლასიანი ქალების სკოლის გახსნა, ან რამდენიმე სტიპენდიის დაარსება თბილისის ეპარქიალურ ქალების სკოლაში. ამ ფულებს გარდა ჩვენ გვქონდა კიდეე მომავალი სემინარიის დასაარსებლად გადადებული რამდენიმე ათასი მანეთი და ამ ოც და-თორმეტი ათას მანეთს რომ დაუმატოთ ეს ფულები, შეადგენს ორმოც და-სამი ათას მანეთს. მვაქვს სახლები შემოწირული განსვენებული სტრუიკისაგან და ის ფულები მოვიხმაროთ რომელიმე ზემოთ მოხსენებულ კეთილ საქმეებზე». ამ ფულებს ვსწირავდით ჩვენ ჩვენი შვილების სასწავლებლად და ამისთანა საქმეზედეე უნდა მოვიხმაროთ ის. მაათავა თუ არა სიტყვა მ. ლამბაშიძემ, მიუბრუნდა თავსმჯდომარეს და უთხრა: «ამ გორაზე კარგი ხანია რაც გამრავლდნენ ერთგვარი პირები, რომელთათვის «ენისტანიობა» და ნალაპარაკევის გადაბრუნებულად გამოქვეყნება სპეციალურ მოხელეობას შეადგენს და ამით ლუკმა პურს შოულობენ. ამისათვის გთხოვთ ჩემი ნალაპარაკევი ამ სხდომაზე ყველა საგნების შესახებ სხდომის ჟურნალებში ჩაიტანოთ» დეპუტატებმა ერთხმად დაიძახეს, რომ მათ აქვსთ წინადადება მიცემული მარტო კასის დაარსების შესახებ და სხვა საგნებზე არა აქვსთ მათ უფლება იბაასონ. რაიცა შეეხება კასის დაარსებას, ჩვენ ვერ გავხდებით თანხმა ამაზე, რადგან არც ერთს ჩვენს მარწმუნებლებთაგანს არ სურს ეხლანდელი სიღარიბისაგამო ამ ფულების დატოვება... ასე გათავდა ეს უკანასკნელი კრება იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისა. ამბობენ, ერთ დეპუტატს მწყემსთ-მთავრისაგან საყვედური ემცხადებაო. მინ უნდა იყოს ეს დეპუტატი? რასაკვირველია ის, რომელიც მეტს ლაპარაკობდა; მაგრამ რისთვის? ეს კი არ ვიცით. სხვა რამეებზედაც ჰქონდა კრებას მსჯელობა, მაგრამ ისინი მაგდენად საყურადღებონი არ იყვნენ.

დამსწრე.

სამურძაუანოდამ.

თუმცა კაი ხანია, რაც ჩვენს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ ეკკლესიების ტეხა და გლეჯა გვესმის, მაგრამ ამ ჩვენს სამურძაყანოში ამ გვარი შემთხვევა, დამამდაბლებელი კაცობრიობის ღირსებისა, დღემდის არ ყოფილა. მართალია, რომ აქ ქურდობა ძალიან ხშირი მოვლენა არის და რომელი კაციც კაი ქურდი არ არის, ის კაცად არც კი ითვლება აქაურების თვალში, მაგრამ აქ დღემდის არ გაგონილა, რომ ვისმეს ეკკლესია გაეტეხოს და იქიდგან რამე საეკკლესიო ნივთი წაეღოს. ამ ბოლოს დროს, საუბედუროდ, აქაც იჩინა თავი ამ გვარმა მოვლენამ. წარსული წლის დეკემბრის 7-ს აქ გასტეხეს მთელს სამურძაყანოში შესანიშნავი ეკკლესია, რომლიდგან გაიტანეს ყოველივე ძვირფასი საეკკლესიო სამკაულნი, 2500 მ ღირებულნი. ამასთანავე წაიღეს ეკკლესიიდგან წმიდა გიორგის ორი ხატი, რომლებიც გაკეთებულნი იყვნენ ვერცხლისაგან და დაფერილნი ოქროში. ეს ხატები შემკულნი იყვნენ სხვა-და-სხვა ძვირფასი თვლებით, რომელთა ფასი კაცმა არ იცის. ადგილობრივ ადმინისტრაციამ ყოველივე ღონე იხმარა და ხმარობს, რომ ეს დაკარგულნი ნივთები და მათი წამღებლები აღმოაჩინოს, მაგრამ დღემდე ვერას გახდა და, ვგონებთ, შემდეგშიაც არა გამოვიდეს რა.

ზემოდ მოხსენებულნი ხატები ძალიან სახელგანთქმულნი იყვნენ მთელს აფხაზეთში და სხვა მხარეშიაც. ურიცხვი მლოცველები მოდიოდნენ აქ სალოცავად. ერთს ამ ხატს აქაურები ეძახდენ «წველი მარდიანს» და მეორეს «ჯგუფე მაცხოვარს». თუმცა სამურძაყანოში დღეს ქრისტეს სწავლას მტკიცედ არა აქვს ფეხი მოდგმული, მაგრამ ამ ხატებს კი დიდს პატივსა-სცემდენ ყველანი, როგორც მამა-პაპათაგან დატოვებულ წმინდა ნაშთს. ისეთ ოჯახს ვერ ნახავთ აქ, რომ ამ ხატების შესაწირავად არ ყავდეს გაშვებული ძროხები ანუ სხვა რამე საკლავები;

მსხვერპლს სწირავდნენ ამ ხატებს ყოველ წლობით და სხვა დაწესებულ შესაწირავს გზავნიდნენ ადგილობით ეკკლესიაში ორივე ხატების სახელობაზედ. ძვირად მოხდებოდა, რომ ამ ხატების წინაშე რომელიმე სამურძაყანოელს სიცრუე ეჩვენებინა, როდესაც სახარების და ჯვარის წინაშე ნამდვილ სიცრუეზე იფიცებენ ზოგიერთები. ამ გვარად ამ ხატების წყალობით ცოტათი მაინ იყო აქ დაცული ქრისტიანობა. დღეს კი ამ ხატების დაკარგვამ ცუდი გავლენა იქონია ყველაზე. დღეს აქ ყველანი გაიძახიან: «ეგრეთმა ძრიელმა ხატებმა როგორ მისცეს ცუდ კაცებს ნება, რომ ისინი ეკკლესიიდგან გაეტანათ და რატომ მათ ეკკლესიაშივე არ დახოცეს ქურდები». ასეთი საქმეები ხდება ამ ჩვენს განათლებულ საუკუნეში, როდესაც, როგორც აქაური მოხუცებულები ამტკიცებენ, ეკკლესიების ტეხა უწინდელ დროში არასოდეს არ მომხდარა სამურძაყანოში. ამ მოხუცებულების სიტყვებიდამა სჩანს, რომ ზოგიერთი ეკკლესიების კარები უმეტეს ნაწილად არც კი იკეტებოდნენ უწინო, მაგრამ მაგალითი არ ყოფილაო, რომ ვისმეს ეკკლესიიდამ რამე საეკკლესიო ნივთები წაეღოსო. ამასთანავე ზოგიერთმა მოხუცებულებმა ამ დაკარგული ხატების შესახებ მიამბეს შემდეგი: «თუ რომელიმე სოფელში ვინმე შევიწროებული იქმნებოდა ძრიელი პირისაგან, ის მოირბენდა ამ ხატების ეზოში, მაშინ მდევნელი ამ ხატების შიშით თავს ანებებდა დამნაშავეს და თავის დღეში მას არას დაუშავებდა. ამით აიხსნება სწორეთ ის ფაქტი, რომ იმ ეკკლესიის მახლობლად, სადაც ეს ორი ხატი ესვენა, ბევრი სხვა-და-სხვა გვარის კაცები სცხოვრებენ. ალბათ ისინი თავის სოფლებიდამ გამოქცეულან რამე დამნაშაობისა გამო და აქ შეუფარებიათ თავი.

იმედი გვაქვს, რომ ადგილობითი ადმინისტრაცია ყოველივე ღონეს იხმარს ამ ეკკლესიიდამ წაღებული ნივთების და ხატების აღმოჩენისათვის და ქურდებსაც შესაფერს სასჯელს მიანიჭებს.

სამურძაყანოელი მისიონერი.

საისტორიო მასალა.

ვარძიის მონასტერი.

1156—1212 წ.

ვარძიის ღვთის-მშობლის მიძინების მონასტერი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთისკენ ქ. თფილისიდამ ორას-ოცდა-თოთხმეტ (234) ვერსტზე. რკინის გზის მიხაილოვის სტანციიდამ მდინარე მტკვარის მარცხნით მისდევს პირ-პირად გზა ტკეცილი. ამ გზით მიჰყვებ-მოჰყვებს მგზავრი ორ ნაძვნარ მთა შუა, შედის ბორჯომში, მერმე აწყურში. სადაც მარცხნით მდინარის გაღმა თვალ წინ წარმოუდგება მას ძველი შესანიშნავი ციხე დ ეკკლესიის ნანგრევნი.

ამ გზით მგზავრი ვერ ასცილდება ქ. ახალ ციხეს. ამ ქალაქიდამ 4 ვერსტის შემდეგ. ორ შიშველ მთა შუა იგივე მდინარის მარჯვნით პირ-პირად მიდის პოსტის გზა რუსთავში. სადაც შობილა ჩვენი უკვდავი პოეტი შოთა რუსთაველი. აქ თქვენ ხედავთ ვრცელ დ კარგ სანახავ სათეს მინდვრებს, დასახლებულთ მხოლოდ ორიოდე კომლი ქურთებითა. რუსთავის ხეობაში დღესაც არის უწინდელი დარჩომილი ვაზები, ხე-ხილი და რამდენიმე კლდეში გამოქვაბულნი...

გაივლის მარცხნით იმ ასპინძის ციხეს. სადაც 1770 წელში ირაკლი II ოსმალებს თავს ზარი დასცა დ რამდენიმე ამ ბრძოლაში ნაშოვნი ტყვე გაუგზავნა რუსის დედოფალს ეკატერინე II. დ თან გამარჯვებულმა მეფემ შეუთვალა მას: «ისე ძლიერ დავამარცხეთ ოსმალები დ იმდენი ტყვე ვიშოვეთ, რომ თქვენც მოგართვითო».

აქ დღეს თათრის სოფელია. აქედამ ამ გზას მიყავხარ ხერთვისის შესანიშნავ კლდეზე დაშენებულს ძველი ციხის ძირს და თათრის სოფელ-სკოლაში. ამ კლდეს ხერთვისი ეწოდება იმიტომ, რომ აქ ორ ხევთა შუა ჩამოდის ორი მდინარე: არტაღანი, რომელიც მომდინარეობს სამხრეთით ჩრდილოეთისკენ ვიწრო ხეობაში. მეორე სდის აღმოსავლეთიდამ ჩრდილოეთისკენ ციხის კლდის ძირს და გამომდინარეობს იმ ფარავანის ტბიდამ, სადაც წმიდა მოციქულთა-სწორმა ნინამ დაჰყო ორი დღე დ ითხოვა საზრდელი ამა ტბის მეთევზურთაგან დ სადაც მწყემსთა ჰკითხა: «სადა არს მცხეთა?» მიუგეს: «გადამდინარე ამის ტბისა მიმდინარებს ქ. მცხეთას». წმიდა ნინომ აქ მიიღო ზეგარდამო ჩვენებაში ის ათნი სიტყვანი, რომლითაც იგი განმხნევდა, მიჰყვა ამ მდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს, მისრულმან მცხეთას ნახა, ნაცვლად ღვთისა ხალხი თაყვანსა სცემდა: ცეცხლსა, ქვასა და მელთა...

ეს ორი მდინარე ორი ხიდის შემდეგ აქ ხერთვისში შეერთდება, ამას ჩაერთვის ახალ ციხეში მდინარე ფოცხოვკა.

ხერთვისიდამ გაღმით ერთი გზა მიზდევს მდინარე «ფარავანს» ქ. ახალ-ქალაქისკენ. მეორე გზა არტაღანის პირ-პირად მიდის თათრის სოფ. ნაქალაქევს და წუნდაში. აქ არის ქართველთ ნაშთი წითელი თლილი ქვით მშვენიერი ძველი ხელოვნების მაღალი ორ სართულიანი ეკკლესია. თლილი ქვით დახურვილი, გარეშემო გრეხილი ჩუქურთმით შეურუკველნი. დასავლეთის კარის თავზე (ეს კარი ამოშენებულია უწინდელ დაუცხრომელ მტერთა შიშისა გამო). ამოჭრილია ორი ჯვარი იქეთ-აქეთ და მასზედ ვაზები და მტევნებია. შუაში კი მშვენიერი ხუცური ასო მთავრულით ეს წარწერაა:

«სახელითა ღვთისათა მე ქართველმან ბაგრატის ძემან აღვაშენე ეკკლესია ესე მამული ჩვენის სახელსა ზედა წმიდის ნათლის მცემლისასა... საცხოვნებლად ჩემთვის და მშობელთა ჩემთათვის». ამ ეკკლესიას აქვს მხოლოდ ერთი კარი სამხრეთისკენ გამართული ჩუქურთმით და ამზრით მიშენებულია გალავანი.

ბაგრატი მეფე ჯავახეთში იყო და ამაგრებდა ახალ-ქალაქს 1040—1072 წ.

აქ წუნდაში მეფე გიორგი «ბრწყინვალის» დროს ერისთავები იყვნენ ამ მხრის განმგებლად 1345 წ აქედამ მგზავრს გზის პირად შეხვდება ძველი ნაციხვარი და ნასაზანევი, შემდეგ კი ორი უზარ-მაზარ მთებს შუა მგზავრს მარჯვნით მდინარეს გაღმა თვალ-წინ წარმოუდგება მაღალ კლდეზე აღშენებული მტერთაგან შეუვალი ძველი «თმოგვის» დიდი ციხე, კოშკების, ეკკლესიების ნანგრევნი და რამდენიმე გამოქვაბულნი.

ეს ის ციხეა, რომელსაც ახსენებს ხოლმე შოთა რუსთაველი:

«დილარგეთ სარგის თმოგველსა,
მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ შეუშრობელსა».

ამ სარგის თმოგველმა სთარგმნა სპარსულიდამ მოთხრობა «ვის-რამიანი». ესენი იყვნენ თამარის დროს მაღალის ნიჭით გამოჩენილნი მწერალნი. 1184—1223 წ. ამ ციხიდამ ერთი ვერსტის შემდეგ გავა ხიდზე, მდინარე არტაღანს ორ დიდროვან ხევს შუა შეჰყვება გზა, აქ მოულოდნელად მარჯვნით მოგზაურს წარმოუდგება მაღალი დიდი სალი კლდე: აღმოსავლეთ-დასავლეთ გრძლად მდებარე შვიდ სართულებად გამოკვეთილი სენაკები.

წინამძღვარი ვარძიის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი კალისტრატე.

(გაგრძელება იქნება),

გ. ნ—ის

პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო. *)

(დასასრული. **)

გ. ნ—ძევ, რატომ არ შეიძლება ქრისტომატია და გრამატიკა ერთად? თუმც ამდენხანს არა გვქონია «ქრისტომატია გრამატიკით თურთ», ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ ეს ორი არ მოხერხდება ერთად. მე და შენ ხომ პროგრესის თაყვანის-მცემელნი ვართ! გარდა ამისა ჩვენ, როდესაც ვამბობთ «ქრისტომატია გრამმატიკით თურთ», გვაქვს ს ხეში გრამმატიკულად გარჩევა იმ სტატიათა და ლექსთა, რომლებიც ქრისტომატიას შეადგენენ. რაც შეეხება თქვენ დარიგებას, რომ ჩვენ რუსულს ენაზე ქრისტომატიები გადავსინჯოთ, უკაცრავად თუ არ ვიქნებით, თქვენზე ადრე გადაგვისინჯავს ისინი. ამ გადასინჯვიდგან აღმოჩნდა, რომ რუსული ქრისტომატიები არც ისეთები არიან, როგორიც თქვენ ჰგონიათ. ისინი განიყოფებიან ორ უმთავრეს ნაწილად: ქრისტომატიები მაღალ და დაბალ კლასებისთვის არ შეიცავენ გრამატიკულ გარჩევას სტატიათა და ლექსთა, მაგრამ რუსულს ენაზე ათასნაირი შესაწევნელი წიგნები არსებობენ ენის შესასწავლად, რომლებიც «ქრისტომატიობასაც და გრამმატიკობასაც» გასწევენ. მაგ. пособіе при первоначальномъ преподаваніи отечественнаго языка—Николенка, родное слово г. III-й—Ушинскаго, учебникъ русскаго языка—Смирнова და მრავალნი სხვანი. ამ წიგნებში ლექსები, არაკები კარგად და სრულად არიან გარჩეულნი გრამმატიკულად.

ის ქრისტომატიები, რომლებიც არიან დანიშნულნი მაღალ კლასებისათვის, შეიცავენ ლიტერა-

*) «ივერია» 1885 წ. № III, მარტი. გვ. 62—71.
**) იხ. «მწყემსის» № 4.

ტურის საუკეთესო საკითხავ და სასწავლ სტატიებს თავის შესაფერი დაფასებითა. განიხილეთ ქრისტომატიები ბ.ბ. ბალახოვისა, ფილონოვისა, ბუსლაევისა და სხვა, სადაც ბოლო ნაწილში იპოვით დასკვნას ყველა იმ სტატიებზე, რომლებისგანაც შესდგება წიგნი. მაშ ისეთი ქრისტომატიები, თქვენის აზრით, ენციკლოპედიაა! თქვენ ენციკლოპედიაზე წარმოდგენა არა გქონიათ!

ბ. ნ—ძეს მოჰყავს ჩვენი სიტყვები: (გვ. 68) «თვითონვე ამბობს: ქართული ქრისტომატია საეკკლესიო გრამატიკოთ არ იქნებაო და თითონვე შენიშნავს ქვემოდ, რომ საეკკლესიო გრამმატიკის შედგენა ეხლა ყოვლად შეუძლებელია, რადგან მის შესახებ ვერავითარ ცნობას ვერ ვუპოვით ვერც ჩვენ ძველს და ვერც ახალ გრამმატიკოსებსაო». მივაქციოთ ყურადღება სიტყვებს: «საეკკლესიო გრამმატიკის შედგენა ეხლა ყოვლად შეუძლებელია». განა შარზეა საქმე, ბ. ნ-ძე? განა ჩვენ ვსთქვით, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია? ჩვენ მხოლოდ შენიშვნაში მოვიხსენიეთ, რომ «საეკკლესიო გრამმატიკის შედგენა დიდად ძნელია, რადგანაც ჯერ არც ერთ გრამმატიკოსს ეს კითხვა არ გამოუკვლევია». განა საძნელო არ არის ჩვენთვის რაიმე «ახალის გამოკვლევა», როდესაც მზა-მზათი ვერ გვისარგებლებია!

ქვემოთ ბრძანებს ბ. კრიტიკოსი: «გარდა ყველა ამისა, ჩვენ ეს ცნება—«საეკკლესიო გრამმატიკა» ვერ მოგვინელებია. ჩვენ რაღაც განსაკუთრებული საეკკლესიო ენა არა გვაქვს, მაშასადამე არც გრამმატიკა უნდა გვქონდეს». ჩვენი ენა ერთია—ქართული და გრამმატიკაც ერთი. თუ ძალიან გსურთ ორი გრამმატიკა, მაშინ შეგიძლიანთ მოითხოვოთ გრამმატიკა ძველი ქართული ენისა და ახლისა».

აქ იძვრება კითხვა ფრიად საძნელო და თან საჭირო. უნდა ვაღვიაროთ ჩვენი გულის ვითარება, რომ სულაც ამ კითხვამ ამოგვაღებია ხმა ამ კრიტიკულ შენიშვნაზე, თორემ იმის პასუხის თვის არც დრო ჰგვქონდა და არც მადა. დიდის კრძალულებით და შიშით უნდა გადავავლოთ თვალი ამ საგანს ძვირფასო მკითხველო!

მართლადა შეჰფერის ქართულ ენას ორ-ნაირი გრამმატიკა—საეკკლესიო და სამოქალაქო, თუ არა? ჩვენ აქ არ აღვძრავთ კითხვას, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ხუცურს და მხედრულს ერთმანეთზე. ეს კითხვა ვრცლად იყო განხილული ჟურნალ «ივერიაში». *) მხოლოდ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ ენას ამჩნევია სამი პერიოდი წარმატებისა. ხუცური ან და საეკკლესიო ენა გარდა იმისა, რომ განირჩევა ძველი და ახალი ენისაგან ასოების გამოხატულებით, შრიფტით, განირჩევა ეგრეთვე თვით ენის ფორმებითაც. საეკკლესიო ენას ჰქონდა და აქვს თავის განსაკუთრებითი ზოგ-ზოგი გრამმატიკული ფორმები. შეიძლება ეს განსაკუთრებითი ფორმები ეკკლესიური ენისა არ არის ორიგინალური (ნამდვილი), არამედ სხვა ენებიდგან თარგმნის დროს გადმოტანილი; მაგრამ ეგ სულ ერთია. მხოლოდ ჩვენ გვსურს წარმოვსთქვათ ის აზრი, რომ ეკკლესიურ ენაზე არის და კიდევაც შეჰფერის მას განსაკურებითი გრამმატიკული ფორმები. რამდენადაც ახალი ქართული ენა წარმატებაში შევა, იმდენად ცხადად დაჩნდება განსხვავება საეკკლესიო ენიდგან.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ჩვენ აქ უჩვენებთ ზოგ-ზოგ ეთიმოლოგიურ და სინტაქსიურ განსხვავებას ეკკლესიურ ენისას ახლისაგან. ქართულს ენაზე სუფევს ორ ნაირი დაბოლოება მრავლობით რიცხვში სახელობითი ბრუნვის გამოსახატავად—ნი და ები. პირველი ამათგანი არის ეკკლესიური ენის ფორმა და მერმეთ შემოღებული ახალ ენაში. ეს იქიდგან სჩანს, რომ საღმრთო წერილში ყოველგან შეგხვდებათ მხოლოდ დაბოლოება «ნი». მაგ. და მრავალ-**ნი** ცრუ-წინასწარმეტყველ-**ნი** აღსდგენ, და წარავლინ**ნა** ანგელოს-**ნი** თვის-**ნი** საყვირისა ხმისა დილისათა (მათ. თ. კდ. მუხ. ლა). ერთი სიტყვით, აიღეთ რომელიც გნებავთ საღმრთო წერილის წიგნი და ამ ნაირ დაბოლოებას შეხვდებით. ეგეთ დაბოლოებას მრავლობითი რიცხვში სხვა-და-სხვა ბრუნვაში დაჰყვება თა და არა ებისა, ებსა და სხვ.

ეკკლესიურ ენაზე ძრიელ ხშირად იპოვით მიცემითი ბრუნვაში გან-ორებულ დაბოლოებას **სასა**, მაგ. ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ურიასტანი-**სასა** (მათ. თ. ბ, მუხ. ა). ზრახვასა გლახაკი**სასა** არცხვენთ (ფს. იგ, მუხ. ვ) და სხვ.

ეკკლესიურ ენაზე ახალი ენის მიცემითი ბრუნვის «ში»-ის მაგივრად იხმარება დაბოლოება «სა» და მიუგებს კითხვაზე სად? მაგ. მსგავს არს სასუფეველი ცათა მარცვალსა მდოგვისასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თვის-სა მტირალ-სა (მათ. თ. იგ, მუხ. ლბ). ეგრეთვე და ამავე ენაზე «ში»-ის მაგივრად იხმარება დაბოლოება—«ად». მაგ. და იყო ამის შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქ-**ად** ქალაქად და დაბა-**ად** დაბად (ლუკ. თ. ჱ. მუხ. ა). და მოვიდ

*) № 10.

იესლო თვისად ქალაქად, მაშინ მოართვეს განრღვეული (მათ. თ. თ, მუხ. ბ) და სხვ.

ეკკლესიურ ენაზე მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებსაც ერთნაირი დაბოლოვება აქვთ სახელობითი ბრუნვაში მხოლოობით და მრავლობით რიცხვში მაგ. ლოცვანი, დავითნი, კურთხევანი, ბიკონი, ჟამნი და სხვ.

საყურადღებოა ეგრეთვე საეკკლესიო ენაზე, მაგ. სახარებაში; არსებითნი სახელნი, როგორც ნემეცურს ენაზე, აზრის თავში, შუაზე და ბოლოზე იწყობა დიდი ასოთი; ნათესაობითი ბრუნვის მაგივრად ხშირად იხმარება საეკკლესიო ენაზე მოქმედებითი I. მაგ. და გარდამოვიდოდა რა მიერ მათით **(съ горы)** (მათ თ. ჱ, მუხ. ა). ზედ-შესრულნი სახელნი ეკკლესიურ ენაზე ძრიელ ხშირად იხმარებიან შემოკლებული დაბოლოებით **(съ усѣченнымъ окончаніемъ)** და თუმც ეგეთი ფორმა არის ხმარებული ახალ ენაზედაც, მაგრამ უფრო იშვიათად და არც ეწყობა. მაგ. დიდ არს უფალი და მართალ, და ღმერთი ჩვენი მწყალობელ (ფს. მზ, მუხ. ა) და სხვ. მრ.

არა ნაკლები განსხვავება მოიპოვება სინტაკსიური მხრითაც ძველ ეკკლესიურ და ახალ ენაზე. საზოგადო გრამმატიკული კანონი არის, რომ აზრში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს ქვემდებარეს, მერე შესმენილს. ამათ მიჰყვებიან დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი სიტყვები. ამ საზოგადო გრამატიკულ კანონს მუდამ არ მიზდევს ქართული ენა. ახალ ენაზე შესმენილი უმეტეს ნაწილად აზრს ბოლოში ექცევა, ხუცურ ენაზე კი თავში. მაგ. კურთხეულ არს უფალი და ი მინა ხმა ლოცვისა ჩემისა. (ფს. კზ, მუხ. ვ). აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი და დამწყსენ და აღამაღლენ იგინი უკუნისამდე (ფს. კზ. მუხ, თ. და სხვ. და სხვ). საზოგადოდ გარდა ეკკლესიური ენისა ზედ-შესრული სახელი მუდამ არ ეთანხმება სახელ-არსებითს ბრუნვაში და რიცხვში—ისრე, როგორც რუსულში. არ ითქმის ქართულად: შავები კედლები, არამედ შავი კედლები, ბატით კალმით, არამედ ბატის კალმით და სხვ. მრ. ეკკლესიურ ენაზე კი უმეტეს ნაწილად შეთანახმდებიან ზედ-შესრულნი და სახელ-არსებითნი. მაგ. ხოლო რომელთამე ფარისეველთა რქვეს მას (ლუკ. თ. ვ, მუხ. ბ). რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოხრებისა თქმული იგი დანიილ წინასწარ-მეტყველისა მიერ მდგომარე ადგილსა წმიდასა. იხილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯვენით კერძო შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა. (მარკ. [illegible] თ. [illegible] ივ, მუხ. ე). ძლიერ ხშირად ეკკლესიურ ენაზე შეხვდებით მრავალ სიტყვებს ერთ ფორმაზე, ახალს ენაზე კი არა. მაგ. სჯობს მცირედი მართლისა, ვიდრელა არ მრავალ სა მას სიმდიდრე-სა ცოდვილთა-სა. შესახებ ნიშნების ხმარებისაც არის განრჩევა ეკკლესიურ და ახალ ლიტერატურულ ენაში. საზოგადო გრამმატიკული კანონი არის: ორი აზრი შეერთებული ერთმანეთთან კავშირით «და» არა რომელი ნიშნით არ განიყოფებიან, ეკკლესიური ენა არ მიზდევს ამ კანონს. საზოგადო კანონია ეგრეთვე ყოველს ენაზე, რომ ზედ-დართული **(придаточное)** წინადადება უმთავრესიდგან, უკეთუ მათ შორის არ არის შემაერთებელი კავშირი, განიყოფებიან ნიშნით, ეკკლესიურ ენაზე კი ეს კანონი მუდამ არ სრულდება. მაგ. მოვიდეს უფალი იგი მონისა მის დღესა რომელსა არა მოელოდეს და ჟამსა რომელი არა უწყოდე (მათ. კდ, მუხ. ნა). ლექსთა წყობილებაც **(конструкція рѣчи)** ეკკლესიურ ენაზე ბევრად განსხვავდება ახალი ლიტერატურული ენისაგან.

ბ ნ—ძეს ძრიელ საუცხოვოდ მოსჩვენებია ჩვენი აზრი: «ყოველ მხრივ შესწავლა ქართული ენისა». ამ აზრს ის სთვლის უმნიშვნელო ფრაზად. იმას ვერ წარმოუდგენია თუ რაში მდგომარეობს «ყოველ-მხრივ» ენის შესწავლა საზოგადოდ ⁊ ქართულისა კერძოდ? როდესაც ამბობენ «ყოველ-მხრივ» ენის შესწავლაზე, აქვთ სახეში ენის გრამმატიკის ლიტერატურის შესწავლა, ენის შესწავლა შედარებით სხვა ენასთან, ძველი და ახალი ენის გრამმატიკულ ფორმათა გაგება შედარებით; საეკკლესიო და საერო ენის შესწავლა საუკეთესო მწერლების და იმათი ნაწარმოების საშუალებით. გარდა ამათთა აქვთ სახეში შესწავლა სინონიმებისა, პროვინციალური სიტყვებისა და იმ განსაკუთრებით ენის ფორმებისა, რომლებიც შეჰფერის მხოლოდ იმას და არა ყოველს. ქართულს ენაზე არის ისეთი გრამმატიკული ფორმები, რომლებიც სხვა ენაზე იშვიათად მოიპოვებიან. მაგ. ქართული ენა ხშირად ხმარობს ქვემდებარეს მიცემითი და მოთხრობითი ბრუნვაში. რუსულს და ეგრეთვე ზოგ სხვა ენაზე ნათესავი ლექსთა **(роды)** გამოიცნობა დაბოლოებითაც, და მნიშვნელობითაც. ქართულს ენაზე კი მხოლოდ მნიშვნელობით. ეგრეთვე თანდებული მრავალს ენაზე ლექსს თავში დაესმის, ქართულს კი თავშიც და ბოლოშიც, ცალკე, და ერთადაც და სხვ.

ბ. ნ—ძეს, თქვენგან წარმოდგენილი სამშობლო ენის შესწავლის პროგრამმა (გვ. 70) უფრო უმნიშვნელო ფრაზებიდგან შესდგება, ვინემ ჩვენი «ყოველ-მხრივ» ენის შესწავლა. ი ხომ პროგრამმად არ ჩაითვლება, მკონი არც თქვენ უწოდებთ, რამედ ის არის **объяснительная записка къ пограммѣ преподаванія языка** ანდა. გნებავთ, უწოდოთ სასწავლო პლანი **(учебный планъ преподаванія языка вообще).** აქ არ ამოვწერთ ამ სასწავლო პლანს, რადგანაც დიდ ადგილს დაიჭერს და არაფრათ კი გამოგვადგება. თუმც პროგრამმად ჩავთვლით თქვენს ქადაგებას სამშობლო ენის შესწავლაზე, მაშინ იმის წინააღმდეგ მრავალი შეგვიძლია მოგახსენოთ და თუმც სასწავლო პლანად—ჰაშინ ის ფუჭია, რადგანაც თქვენდგან წარმოთქმული აზრები ამ საგანზე არის დიდი ხანია დაცოხნილი და შეგვიძლია ეგეთივე აზრები წარმოვსთქვათ, თუნდაც ჩინეთულ ენის სწავლებაზე.

ეგ ყველა-ყველა, მაგრამ რას მოასწავებს, ბ ნ—ძეს, სხვათა მრავალთათვის თქვენგან კბილების გამოკვრა? ხან იხსენიებთ ბ. ყიფიანის არითმეტიკას, ხან მ. ჯანაშვილის ისტორიას, ხან და კიდევ სირაქლებეს, ბელურა ჩიტებს, ყავის მოყვანას და სხვ. თუმცა—ის აზრები არ მოგეწონათ, ესენი რაღაში იყვნენ დამნაშავენი? ჰო, იქმნება მაღალმა ჭეშმარიტებამ გაიძულა თქვენი მაღალი ღირება იქათ ხსენებაზე! თქვენ ბრძანებთ: «ჩვენმა ნაფიკმა პედაგოგებმაც კი არ ამოიღეს ხმა. ძალიან საჭირო, თუ ვიღაც ა—მ რაღაც მოჯღაბნა, ახლა მაკაზედ გავიკხელებთ სწორეთ თავსა». მამ ჰხალად თქვენ ყოველსართ დედა-ენაზე უარკარად ჭეშმარიტების მეტხეკი? მარტო თქვენ მეკუთვიათ ბული ყველა იმაზე, რაც შეადგენს საზოგადო ინტერესს? ღმერთმაც ეკრე ჰქნას. მაგრამ ვაი თუ ეკრე არ არის! სტატიის ბოლოში ბ. ნ—ძე მოკვითხრობს: «აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ამ ქვეყნად შემდეგი სახელმძღვანელონი: ქრისტომატიები სხვა-და-სხვა კლასთათვის დანიშნულნი და სხვ.» საინტერესო არის, რომელ ქრისტომატიებზე უნდა ბ—ნ? ბუკვიბისაზე, თუ თავის ქრისტომატიაზედ? ალბათ თავის ქრისტომატიაზე. მაშ რას გამოუწვევია ბ. ნ—ს პედაგოგიური მოსაზრებანი? პასუხი ადვილია. «მე მინდა, ბრძანებს ის, ამ მოკლე ხანში შევადგინო ქრისტომატია და გამოვსცე (კიდევაც დაიბეჭდა);» ამისათვის ყიფიანებმა, ჯანაშვილებმა და სხვებმაც აიღეთ თქვენი ნაწარმოები და გახურებულ სახმილში შეჰყარეთ. აი მაღალი ჭეშმარიტების მიმზდევი ვაჟ-ბატონი, აი საზოგადო ინტერესების გულშემატკივნელი!

ქ. უ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ერთ კარგ ამბავს ვახარებთ დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებას. ამ წელში იმ ჯამაგირს, რომელსაც ის იღებს ხაზინიდამ, კიდევ მოემატა თხუთმეტი ათასი მანეთი. მომავალი წლისათვის კი მთლად მიიღებს, რაც დანიშნული აქვს. თუმცა დიდი სახარბიელო კი არ არის ეს ჯამაგირები, მაგრამ სულ არარაობას მაინც სჯობს.

***

ქ. ქუთაისის სამღვდელოებამ უკვე მიიღო ის ფულები, რომელიც მას ჰქონდა დატოვებული ქუთაისში სასულიერო სემინარიის დასაარსებლად ამ მოკლე დროში მთელი ეპარქიის ბლაღოჩინებს დაერიგებათ მოწერილობა, რომ მათ თავიანთ საბლაღოჩინო მღვდლებს გამოუცხადონ, რათა უკანასკნელთ ვექილები აღირჩიონ და გამოგზავნონ დატოვებული ფულების მისაღებად.

ორი წლის განმავლობაში რაც სარგებელი მოიტანა ამ თავნმა ფულმა, ყოველად სამღვდელოს სასწავლებლის სასარგებლოდ გადუდვია. ეს სარგებელი შეადგენს თითქმის ათას-ხუთას მანეთს.

***

რამოდენიმე პირთა განგვიცხადეს ჩვენ, რომ მათ უნდოდათ ახლად დაბეჭდილი დაბადების ყიდვა, მაგრამ მთელს ქუთაისში ერთი დაბადება არ მოიპოვება გასასყიდელიო».

***

ბაზეთ «ივერიაში» ეკითხულობთ შემდეგ საყურადღებო ამბავს:

«ამ ჟამად წმ. სინოდში, რუსეთის გაზეთების სიტყვით, ერთი ჩვენთვის ფრიად საყურადღებო საქმე ირჩევა. მოგეხსენებათ, რომ ათონის მთაზე ქართველების ძველი მონასტერი ბერძნებმა დაიჩემეს დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრეს. იქაურთა ქართველთა ბერ-მონაზონთა, რომელნიც ეხლა რიცხვით ორმოცამდე არიან, დიდი ღვაწლი და დიდი მეცადინეობა გასწიეს, რომ საქართველოს არ დაუკარგონ ეს ძველი და სახელ-განთქმული განძი მამა პაპისა. იქამდინ მიიყვანეს საქმე, რომ თვით ხელმწიფე იმპერატორმა თვისი მოწყალე ყურადღება მიაქცია ამ საგანს. ეს საქმე თურმე დღეს უწმინდესს სინოდში ირჩევა, როგორც ზემოთაცა გსთქვით; ამ საქმეზედ მიჩემებულნი არიან ტფილისისა და ქუთაისის თავად აზნაურობისაგან ამორჩეულნი დეპუტატები (უგანათლებულესი თავადი ნ. დ. მინგრელსკი, დ. ი. ჩუბინაშვილი, პროფესორი ს. პ—რგის უნივერსიტეტისა ა. ა. ცაგარელი, თავადი ი. ა. ნაკაშიძე და გ. აბაშიძე-გორლენკო). ამ დეპუტატებს წარუდგენიათ სიგელები და გუჯრები, რომლებიც ამტკიცებენ, ვისიც არის მონასტერი და XI საუკ. ეკუთვნიან. დეპუტაციის შუამდგომლობას შველის და ხელს უწყობს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმძღოლი თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ათონის მონაზონთა ძმობის რწმუნებულს სხი-მონაზონს ბენედიკტეს გაუგია, რომ ბერძნების მონაზონთა, ამ საქმით გულამღვრეულთ, ინგლისის მმართველობისთვის მიუმართავთ თხოვნით, რომ მონასტერი ინგლისის მფარველობის ქვეშ მიიღეთო, ისე, როგორც ამ თხუთმეტიოდ წლის წინედ ინგლისის მმართველობის ქვეშ იყო ქორთლომუშის ათონის მონასტერიო».

***

ამავე გაზეთში ვკითხულობთ:

«ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან თურმე ქართველი სტუდენტები. «ჩვენში მოიპოვებიან ათს კაცამდე, იწერებიან იქიდამ, იმისთანებიო, რომელთაც არც შინიდამ მოსდით ფული, ვერც აქ შოობენ ვერარა ღონის-ძიებას, რომ თავი ირჩინონ, ისე, რომ ერთს სახლი არა აქვსო, მეორეც ცარიელ პურზე გადადისო და მესამე კი დადის ტიტველ-შიშველიო». ამ განწირულებისაგან იძულებულს ქართველს სტუდენტობას გამოუგზავნია წერილები ტფილისში და რამდენსამე საპატიო ოჯახისათვის უთხოვნია შემწეობა თავიანთ გაჭირებულს ამხანაგებისათვის. რომ მათდა სასარგებლოდ რამე ღონის-ძიება მოიპოვონ და მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა განწირულობიდამ დაიხსნან».

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საყურადღებო

ტელეგრამმები.

ფებერვალს 1.

მოსკოვი. გუშინ უნივერსიტეტის ეკკლესიაში გენერალ-გუბერნატორის, გენერლობის, დეპუტაციების, პროფესორებისა და მრავალ მლოცველთა თანდასწრებით წირვა გადუხადეს განსვენებულს აქსაკოვს. წირვის შემდეგ პროცესსია მწუხარებით გაემართა იაროსლავის ვოგზალისაკენ. კუბო საკაცეზედ იდგა და ისე მიჰქონდათ; გვირგვინები სამგლოვიარო ეტლზედ ეწყო; მედიდურობა არ ეტყობოდა პროცესსიას; მაგრამ მრავალი ხალხი, რომელიც მისდევდა პროცესსიას და აგრეთვე მრავლად იდგა პროცესიის აქეთ იქით ამტკიცებდა, რომ ხალხი ღრმა პატივისცემას და სიყვარულს უცხადებდა განსვენებულს. ანდერძის აგების შემდეგ კუბო შეასვენეს სამგლოვიარო ვაგონში და მატარებელი წავიდა სერგიევის პასადისკენ. აქედგან ცხედარი მიასვენეს ტროიცკის ლავრაში, სადაც დღეს მიწას მიაბარებენ.

3 ფებერვალს.

ათინა. დიდ ქუჩაზე გამოკიდებულია საცენტრალო რევოლიუციის კომიტეტის პროკლამაცია. რევოლიუციის მომხრენი მმართებლობასა და მეფეს მუქარას უთვლიან, თუ ომს არ დაიწყობთო.

პეტერბურგი. პორტის უკანასკნელი ცირკულიარის გამო ოსმალ ბოლგართ მორიგების შესახებ, «Journad de st Peterbourq»-ი ამბობს, რომ ორი მუხლი იმ ცირკულიარისა კიდევ შესასწორებელიაო, რადგანაც აღმოსავლეთ-რუმილიის გენერალ გუბერნატორის უფლებათა განახლება პორტას ფორმალობად მიაჩნიაო, და რუმილიის ორგანებულს წესდებაში კი ცვლილება მხოლოდ დიდთა სახელმწიფოთა თანხმობით ჰსურს მოახდინოსო. მაგრამ ის მუხლი კი, რომლის ძალითაც ბოლგარიის ლაშქარი უნდა სულთანს ემორჩილებოდეს, ვერ შეიწყნარებდაო. ამასთან ამტკიცებს პორტა რომ ეგ მორჩილება სულთანის უზენაეს უფლებისაგან წარმომდგარიაო, პირიქით, წინააღმდეგია ერთა-შორებრივის მართლიერებისა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის აღიარებულისა. ოსმალეთის ხელ ქვეითთა საქრისტიანო სახელმწიფოებს თავის დღეში თავისი ჯარები სულთანის განკარგულების ქვეშ არ ჩაუგდიათ. ეს მუხლი მორიგებისა ბერლინის ხელშეკრულობასაც ეწინააღმდეგება და მთავარს ალექსანდრეს

ნება არა ჰქონდა მაგისთანა ცილობა დაედო დიდთა სახელმწიფოთა დაუკითხავად. ბოლგარიის ჯარი რომ ოსმალეთის განკარგულების ქვეშ იყოს, ამას ბევრი მძიმე შედეგი მოჰყვებათ: აღმოსავლეთის მშვიდობიანობას დაარღვევს და ძმათა მკვლელობის ომებს ასტეხსო. არას გზით რუსეთი იმას არ იქმს, რომ მისგან განთავისუფლებული ბოლგარია ამისთანა ყოფაში ჩავარდეს. და თუ ეს დავიწყებას მისცეს სოფიაში, სხვაგან კი კარგად ახსოვთო.

დიდ-მარხვის წინ.

დიდ-მარხვის წინ ყველიერის კვირა უძღვის. რა არის ყველიერი, რისთვის არის ის დაწესებული, როგორ უნდა ვატარებდეთ ამ დღეებს—ეს ყველაფერი იმ კვირის საეკკლესიო საგალობლებში აწერილი. წ. ეკკლესია იმ დროს გვიგალობს სხვათა შორის: ჟამი და დღე ბრწყინვალე მარხვისა მოგვეახლა ჩვენ: შევიტკბოთ იგი და ვითხოვოთ ქრისტესაგან გარდამოგვივლინოს მადლი და ცოდვათა შენდობა; ბჭე სავალი მარხვისა მოღვაწებათა გვირგვინოსანი შეიწყნარებს შემავალთა და ისტუმრებს მათ გალობითა და ქებითა სულიერითა: მოვედით, მორწმუნენო, და შევიწყნაროთ და ვისწრაფოთ წადიერებით შესვლად მათ შინა; განგვიცხადე მოსვლა მარხვისა, ქრისტე, განმწმენდელათ კაცთა და განყენებათ ვნებათა. მადლი მარხვისა ბრწყინვალებასა თვისსა ყოველთა ზედა განმარტებს და უჩინო ჰყოფს ბნელსა ცოდვისასა, რომელნიცა პირად-პირადთა ვნებათა მიერ მოწყლულ ვართ, შევიტკბოთ. შემოსვლა მისი: ყოველთა წარმწყმედელისა სულიერისა ვნებისაგან ვივლტოდეთ ყოველნი შედგომითა მარხვისათა და ნაყოფიერ ვჰყოთ ჟამი სინანულისა და შესავალი ჟამი ესე მარხვისა გვექმნების ჩვენ ყოვლისა ცოდვისა დატევებისა მიზეზ.

ამ საეკკლესიო საგალობლებიდამ სჩანს, რომ ყველიერი არის დასაწყისი და შესავალი წ. დიდმარხვისა, ის არის დრო სინანულისა და განწმენდისა. ამისათვის ეკკლესია გვიკრძალავს ამ დღეებში ხორცეულის ჭამას და საზოგადოდ მოითხოვს თავის შვილებისაგან უფრო მომეტებულ ზომიერებას და მოთმინებას, რომ ნელ-ნელა შეაჩვიოს ისინი მომავალი მარხვის ღვაწლს.

ამ გვარი დანიშნულება აქვს ყველიერს და ამ მიზნის შესაფერი დღეებითაც იწყება და თავდება ის. ყველიერის წინა დღეს, ხორციელის კვირას, ეკკლესია იხსენიებს იესო ქრისტეს მოსვლას და უკანასკნელ განკითხვას,—იმ დღეს, როდესაც მოვა ძე ღვთისა დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა. მოვა მსაჯული, რომელი გამოიკვლევს თვით გულის-თქმათაც, რომლის წყრომით აძრწოლდება ყოველი ქმნილება: ცა შეიძვრება, მნათობნი დაბნელდებიან, მთები დაირღვევიან და თვით ჯოჯოხეთი შეირყევა. ეს პირველი მსაჯული დაარჩევს მაშინ ცოდვილებს მართლებისაგან და ეტყვის მართლებს: «მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი (მათ. 25. 34)» და ცოდვილებს: «წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა. რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათვის (მათ. 25. 4)». ყველიერის უკანასკნელ დღეს ეკკლესია იხსენიებს ადამის, და იმისთან ჩვენს, შეცოდებას და სამოთხიდამ გამოძებას. ამ დღეს ქრისტიანები ვიგლოვთ ჩვენს დიდ უბედურებას: ვიგლოვთ იმ დღეს, იმ საათს, როდესაც კაცთა ნათესავმა დაარღვია მცნება უფლისა და გაარისხა ღმერთი სახიერი, როდესაც შევიქმენით მონად ალმობისა და სიკვდილისა. ამ საჰწუხარო მოგონებით თავდება ყველიერი. ამ გვარ დღეებით არის ეს კვირა შემოზღუდული. ერთი ამ დღეებთაგანი მოგვაგონებს საგლოველ დროს, მეორე—საგლოველს და საშინელს; ერთი მოგვაგონებს კაცთა ნათესავის შეცოდებას, მეორე—საუკუნო სატანჯველს შეცოდებისათვის; ერთი მოგვაგონებს, რომ ცოდვით გავარისხეთ ღმერთი, მეორე გვიწინასწარმეტყველებს, რომ განრისხებული შემოქმედი დაგვსჯის ცოდვისათვის, მოგვაგებს მოსაგებელს.

ჩვენ? ისე ვატარებთ ამ დღეებს, როგორც წესია? სრულებითაც არა. ყველიერს ჩვენ ყველანი ისე ველით, თითქო რაღაც დღესასწაულს, ბედნიერ დღეებს. საყველიეროთ ადრევე ვიჭერთ თადარიგს, შეუდგებით სამზადისს; ვცდილობთ ავავსოთ სახლი ხორაგით და სასმელებით. დადგება ეს დღეები და ვიმოსებით უკეთეს ტანთსაცმელით, თავს ვილამაზებთ ტოლ-სწორში გამოსაჩენად. ერთმანეთს ვეპატიჟებით, ერთმანეთში დავდივართ, თითქო რაღაც ბედნიერი დღეების მისალოცავად, სადღესასწაულოთ! ქეიფი, ნაყროვანება, სიმთვრალე... ბერკებად (მასკებით) მოკაზმულნი დავწანწალებთ კარ-და-კარ ლაღად და კადნიერად ქცევის მეტია ნების მოსაპოვებლად; საზარელ და პირუტყულ სახეებს ვიკეთებთ, თითქო მისთვის, რომ სახეზედვე გვეხატოს ჩვენი საზარელი და პირუტყული ქცევა!... ქეიფით გატაცებულნი, მავნე გრძნობით აღძრულნი თითქო შინ ველარ

ვეტევით და გამოვდიეართ გარეთ, რომ გამოვფინოთ ჩვენი უზომო, თავშაუკავებელი სიმხიარულის შედეგები, რომ თვით ჰაერი ავავსოთ საცთურებით!...

მსრე: წ. ეკკლესია გვიბრძანებს ყველიერში უფრო კეთილად და წესიერად ვიქცეოდეთ, ჩვენ კი უფრო ურიგოდ და უწესოთ ვიქცევით; ის გვიწეს თავის შეკავებას, მოთმინებას, ჩვენ კი უფრო მეტათ ვეძლევით ცუდ ვნებებს; ის გვიწერს მარხულობას, ჩვენ კი სიმთვრალეს და ნაყროვანებას მივდევთ; ის გვიწერს უბიწო ვქმნათ სული და ხოცი, ჩვენ კი უფრო ბიწიერ ვყოფთ იმათ; ის გვიწერს სინანულს, ჩვენ კი უმეტეს ვცოდავთ; ის გვიბრძანებს ვიგლოვდეთ ცოდვებს, ჩვენ კი ვმხიარულობთ; მას სურს დავიმსახუროთ მოწყალება ღვთისა, ჩვენ უფრო განვარისხებთ იმას...

დიაღ, სირცხვილს ვგრძნობ, როდესაც ვიგონებ, როგორ ვატარებთ ჩვენ დიდ მარხვის წინა-კვირას,—ჩვენ, რომელნიც შობილვართ წყლითა და სულით, რომელნი მოველით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა საუკუნესა. ზული მტკივა, როდესაც ვხედავ, რომ ამ გვარი ქცევით შეურაცხ ვყოფთ ჩვენს წმინდა სარწმუნოებას. შიში და ძრწოლა მოგვიხდება, როდესაც წარმოვიდგენ საზარელსა და პირუთნეველ განკითხვას... მართლიად მწუხარეობს და იგლოვს ეკკლესია: «შვილნი ვშობენ და აღვამაღლენ, ხოლო მათ უარ მყვეს მე!»

შვილნი უარ-ჰყოფენ თავის დედას, ქრისტიანები არ უსმენენ ქრისტეს ეკკლესიას და ეშმაკის საქმეს შეუდგებიან! სამწუხაროა ეს, რადგან ვინც ეკკლესიას არ უსმენს, ის არ არის ეკკლესიის შვილი, არამედ მეზვერე და წარმართი და იმათზე ვერ იტყვის ეკკლესია: «მე ვიცენი იგინი და მომდევდენ მე და მე ცხოვრება საუკუნო მივსცე მათ (იოან. 10, 27 28)». ჩავინერგოთ გულში, რომ არ შეგვშვენის ჩვენ ქრისტიანებს, იმ გვარად ვატარებდეთ ყველიერს, როგორც ვატარებთ; მოვიქცეთ და გვახსოვდეს, რომ «ჩვენ ყველანი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რამეთუ მიიღოს კაცად კაცადმან ხორცთა ამათგან რაიცა იგი ქმნა (2 კორ. 10, 11).»

მ ა რ ხ ვ ა.

1) მარხვა დაგვიწესა ღმერთმა ჯერეთ სამოთხეშივე: «ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქვა: ყოველისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ, ხოლო ხისაგან მცნობელისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან; რომელსა დღესა უკუე სჭამოთ მისგან, სიკვდილითა მოკვდეთ» (დაბ. 2. 16 17) ესევე რამდენჯერმე გვამცნო უფალმა შემდეგაც: წინასწარმეტყველის იოველის პირით იტყვის ღმერთი: «მოიქეცით ჩემდა ყოვლითა თქვენითა მარხვისა მიერ და ტირილისა» (2. 12) და ტოვიტის წიგნში: «კეთილ არს ლოცვა გულითა მარხვითურთ და ქველის საქმით უფროს» (2, 8); წინასწარმეტყველი დავით სწერს: «შევიმოსე ძაძა და დავიმდაბლე მარხვითა სული ჩემი» (ფს. 34. 13). «მუხლნი ჩემნი მოუძლურდეს მარხვისაგან და ხორცნი ჩემნი იცვალნეს ზეთისა მიერ (ფს, 18 23).

ძველი აღთქმის მართალნი თითონაც მტკიცეთ ასრულებდნენ ღვთის ამ ბრძანებას: მოსემ სინაის მთაზედ ორმოცი ღამე გაატარა მარხულობაში, «პური არა ჭამა და წყალი არა სვა» (გამ. 34 28); მარხულობდნენ წინასწარმეტყველი ელია (ეფ. 19, 8). ეზდრა (2 ეზ. 8, 49—50), ნეემია (1. 14). წინასწარმეტყველი დანიელ (10, 2. 3). იზრაილნი რამდენჯერმე (მსაჯ. 20. 26; 1 მეფ. 7. 6 31 13; ივდ. 4, 9—13; ესთ 4. 16; იერ. 3, 4 9) და თვით წარმართნი ნინევიელნი (იონა 3, 5). აი მრავალი მაგალითები მარხვისა ძველ აღთქმაშივე. ნუ თუ ჩვენ, ქრისტიანები, უნდა ჩამოვრჩეთ ძველ აღთქმის ხალხთ ამ კეთილ საქმეში?! არა, და მით უფრო, რომ ძველ აღთქმაში ეს ყველა დაიწერა და მოხდა «სამოძღვრებლად ჩვენდა, რომელთაზედა აღსასრული ჟამთა მოიწია» (1 კორ. 10, 11).

მართალია, ქრისტე უფალმა განგვათავისუფლა ძველის აღთქმის წესდებათა ტვირთისაგან, მაგრამ მარხვა ისევ დაგვიტოვა და ეს გვიჩვენა ჯერ თავის მაგალითით, როდესაც ორმოცი დღე იმარხულა, და მერმე თავისი ქადაგებებით. იესომ მოგვცა დარიგება მარხვის შესახებ: «რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყვნიან პირნი მათნი, რამეთუ ეჩვენნეს კაცთა მმარხველად; ამინ გეტყვით თქვენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი; ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რამეთუ არა ეჩვენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად» (მათ. 6, 16 18), და გვიჩვენა ძალი მარხვისა, როდესაც ამცნო, რომ ეშმაკნი განიდევნებიან მარხვით და ლოცვით (მარ. 9, 29). იესო ქრისტეს მოციქულებმაც განმარტეს თავიანთ მოძღვრის სწავლა მარხვაზედ: «წარუდგინე-

ნით, იტყვის მოციქული პავლე, თავნი თქვენნი, ვითარცა ღვთის მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და ტანჯვათა, პყრობილებათა შინა და შფოთთა და მღვიძარებათა მარხვითა და სიწმიდითა» (2 კორ. 6, 4 6) და სხვაგან: «უმჯობეს არს არა ჭამა ხორცისა და არცა სმა ღვინისა, არცა რომლითა ძმა იგი შენი შებრკოლდების» (რომ. 14, 21) და «უკეთუ საჭმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვსჭამო ხორცი უკუნისამდე, რამეთუ არა ძმაი ჩემი დავაბრკოლო» (1 კორ. 8, 13).

ქრისტეს მოწაფეები არამც თუ მხოლოდ გვასწავლიდნენ მარხვის შესახებ, არამედ თითონაც ასრულებდნენ ამ მცნებას და მარხულობდნენ იმისთანა შესანიშნავ შემთხვევებში, როდესაც უფრო ეჭირებოდათ მადლი და შეწევნა ღვთისა; მაგ. როდესაც ბარნაბას და სავლეს ირჩევდნენ მსახურებად ღვთისა, «მაშინ იმარხეს და ილოცეს და დაასხნეს მათზედა ხელნი მათნი და განუტევეს (საქ. 13, 3);» აგრეთვე: ბარნაბამ და პავლემ ახლად მოქცეულებს «უკურთხეს ეკკლესიად მღვდელნი და ლოცვითა და მარხვითა შეჰვედრეს იგინი ღმერთსა (საქ. 14, 23)». ამ გვარად თვით წმ. მოციქულები სთვლიდნენ მარხვას საჭიროდ თავიანთთვის და მით უფრო ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა მარხვა.

2) მარხვა არის ნებითი მოთმინება. არის მარხვა ხორციელი და არის მარხვა სულიერი. ხორციელი მარხვა არის ის, როდესაც ვითმენთ, არა ვსჭამთ და არა ვსვამთ რომელიმე საჭმელ სასმელს; სულიერი მარხვა არის, როდესაც ვეკრძალვით ბოროტ ჰაზრებს, სიტყვებს, საქმეს. კარგი მმარხველია, ვინც არა ცუდად-მეტყველობს და ერიდება ცილსა, ზრახვასა, მლიქვნელობას, ტყუილს. კარგი მმარხველია, ვინც თავის ხელს არ აძლევს ქურდობის და მტაცებლობის ნებას, თავის გულს-სხვის ქონების ნდომას. კეთილი მმარხველია, ვინც ეკრძალება ყოველსავე ბოროტსა. ეს არის სულიერი მარხულობა.

სასარგებლოა აგრეთვე ხორციელი მარხულობა, რადგან ის ულონო-ჰყოფს, დააუძლურებს და დაგვიმორჩილებს ბოროტ ვნებას, მაგრამ ხორციელი მარხულობა, თუ ის სულიერ მარხულობასთან არ არის შეერთებული, ამაოა. ბევრი მარხულობს ხორციელად, მაგრამ სულიერად კი არა, ბევრი მარხულობს, ეკრძალება სასმელ-საჭმელს, მაგრამ ბოროტ განზრახვას სიტყვას და საქმეს კი მისდევს და რა სასარგებლოა ამისთანა მარხვა?! ბევრნი არა სჭამენ ხორცსა, არა სვამენ სასმელს, მაგრამ თავის ენით მოყვასს კი ჰკბენენ და ჰგესლავენ და რა სარგებელია ამ გვარი მარხვისაგან?! ბევრნი არ შეახებენ ხელს სახსნილოს, მაგრამ ქრთამის აღებად, მოსაპარად, წასართმევად კი გაიწვდიან იმავე ხელს და რა სასარგებლოა ამისთანა მარხვა?! თუ გინდა, რომ მარხვა სასარგებლო იყოს შენთვის, როცა ხორცით მარხულობ, სულითაც იმარხულე. როგორც შენს სხეულს უწესებ მარხვას, შენ სულსაც მარხვა დაუწესე: აუკრძალე შენს გონებას ამაო ფიქრები. მეხსიერებას—ბოროტის ხსოვნა, ნებას—ბოროტი სურვილი და მოქმედება; აარიდე შენი თვალი ბოროტ სახილველს, მოაცალე ენა შენი ჭორის და ყოველგვარი ამაო, ბოროტ და უშვერ ლაპარაკისაგან, განკრძალე ხელი შენი სხვის ქონების მითვისებისაგან, ფეხი შენი—სვლისაგან გზასა ბოროტსა. «მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი» (ფსალ. 33, 15). ეს არის ქრისტიანული მარხვა.

მდინარე.

მდინარესა ჰგავს ჩვენი ცხოვრება. მდინარეში წყალი დაუდგრომელად მიმდინარეობს და მიაქვს თან ყველაფერი. რაც აუტივტივდება, ეგრეთვე მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება და იმასთან ყოველივე ქვეყნიური კეთილი და ბოროტი. აგერ რამდენიმე წლის წინათ არ ვიყავით ქვეყანაზედ და ეხლა ვართ, როგორც სხვა ქმნილებებიც «ხელითა შენთა შემქმნეს მე და დამბადეს მე (ფსალ. 118, 73)». ვიყავი ყმაწვილი და გაიარა იმ დრომ, ვიყავი ჭაბუკი—დავლიე სიჭაბუკისა დღენი, ვიყავ ვაჟკაციც და აწ თმა თეთრს მახლავს სიბერე; თვით სიბერეც უხანოა. ვიყავი კარგად, ვიყავი ავადაც; ვიყავ სიკეთეშია, შემემთხვია გაჭირებაც; ვიყავ პატივში და დამიტევა პატივმაც; ვმხიარულობდი და ვსწუხდი—განვლეს სიმხიარულემაც და შეჭირვებამაც. მიდიან დღენი და მიაქვთ თან მსოფლიური ყოველივე... ერი მაქებდა და მადიდებდა, მაძაგებდა და მგმობდა და რომელნი პირველ მაქებდნენ, შემდეგ ისინივე მაძაგებდნენ, რომელნი პირველ მადიდებდნენ, შემდეგ ისინივე მგმობდნენ—გავიდა დრო და წაიღო თან ქებაც და ძაგებაც, დიდებაც და გმობაც. სად არის ის დრო, როდესაც ვიყავ ჯან-მრთელი, მხიარული, ქებული, დიდებული, ბედნიერი? განვლო დრომ და მასთან ჩემმა ბედნიერებამ, ჩემმა ნუგეშმა. სად არის ის დრო, როდესაც ვიყავი უძლური, დალონებული, გმობილი, უბედური? განვლეს დღეებმა და წაიღეს თან ყოვე-

ლივე ჩემი უბედურება. აგრეთვე გაივლის ყოველივე, რაცა ხდება ქვეყანაზედ, რადგან ყოველივე მიაქვს დროთა ბრუნვას. ესეთია სოფელი, ესეთია იმისი სიმტკიცე, ესეთია ჩვენი ცხოვრება ქვეყანაზედ. უბედურია კაცი დაბადებიდგან ვიდრე საფლავამდინ: იშვება ვაებით და ტირილით, სცხოვრობს ქვეყანაზედ და ირყევა, როგორც ხომალდი ზღვაზედ, კვდება გლოვით და გოდებით. არ არის ისეთი კაცი, რომელსაც დაბადებიდგან სიკვდილამდინ შეურყეველ კეთილ დღეობაში გაეტარებინოს თავისი ცხოვრება. როგორც ცის ქვეშ ხან დარია და ხან ავდარი, ხან სიმყუდროვე და ხან ქარიშხალი ეგრეთვე კაცის ცხოვრებაში ხან კეთილია და ხან ბოროტი, ხან შიში და ხან იმედი, ხან დარდი და ხან სიმხიარულე; მაგრამ მიმდინარებს ჟამი და მიზდევს მას ბედნიერებაც და უბედურებაც. ხედავთ აწ: როგორც მდინარე და ყოველივე, რაც მიაქვს მას, ეგრეთვე ცხოვრება ჩვენი და რაც ცხოვრებაში მოგველის. როგორც წარსული დღეები ეხლა სიზმარივით გვახსოვს, ეგრეთვე სიზმარივით გაივლის დანარჩენი დრო და გვაწევს იმ ხვედრს, რომელიც დანიშნული აქვს ყოველსავე ამ ქვეყანაზედ—სიკვდილს. დავიბადენით მისთვის, რომ მოვკვდეთ...

ხარნა მოვკვდებით, რომ კვალად ცხოველ ვიყოთ! და ეს მომავალი ცხოვება არ ეგვანება ქვეყნიურს: ის ცხოვრება დაიწყება და არ გათავდება—იქნება დაუსრულებელი და უცვალებელი; სხეული ჩვენი აღარ იქნება მონა უძლურებისა, სიბერისა, სიკვდილისა, განხრწნისა: ის იქმნება სხეული სულიერი—მრთელი, უხრწნელი, უკვდავი, კეთილქმნილი. «დაეთესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნელებით, დაეთესვის გინებით და აღსდგების დიდებით, დაეთესვის უძლურებით და აღსდგების ძლიერებით, დაეთესვის ხორცი მშვინიერი და აღსდგების ხორცი სულიერი; რამეთუ ჯერ არს ხრწნილისა ამის შემოსად უხრწნელებაი და მოკვდავისა ამის შემოსად უკვდავება (1 კორ, 15, 42—44, 53)». აგრეთვე დიდება, პატივი, მყუდროება, ნუგეში და ყოველივე ნეტარება დაუსრულებელი იქნება იქ. რჩეულნი ღვთისანი ყოველთვის იხილვენ ღმერთსა პირის-პირ და მარად იქმნებიან ნეტარ და დიდებულ ქრისტესთან, რამეთუ «უკეთუ მისთანა ვივნოთ, მისთანაცა ვიდიდნეთ (რომ, 8, 17)». აგრეთვე ტანჯვა და ვაება იმ ცხოვრებაში სამარადისო იქნება დაუსრულებელი. ამისათვის: მთლად ნუ მივეცემით ამ დაუდგრომელ, უხანო ცხოვრებას, არამედ ვეძებდეთ ცხოვრებასა ნეტარსა და სამარადისოსა.

წ. მოწამე აბო.

წ. აბო არაბი იყო ქალაქ ბაღდადიდამ. წინათ მაჰმადის სჯული სჭირა. ბაღდადში აბომ შემთხვევით გაიცნო ქართლის მთავარი ნერსე, რომელიც ბაღდადის ციხეში იყო დაპატიმრებული მტრებისგან შესმენით: მაშინ საქართველოს მფლობელნი მაჰმადიანები იყვნენ და ერთმა იმათმა ემირმა დაატყვევა მთავარი. სამის წლის ტყვეობის შემდეგ ნერსე გაანთავისუფლეს და ისევ საქართველოში დააბრუნეს. იმას გაჰმოყვა თან ერთგული აბო.

საქართველოში აბომ მალე შეისწავლა ქართული ენა, დაიწყო საღმთო წიგნების კითხვა და ეკკლესიაში სიარული. მოეწონა ქრისტიანობა, შეიყვარა ქრისტეს სჯული, მაგრამ ჯერ ჰმალავდა ამას, რადგან მაჰმადიანებისა ეშინოდა.

ნერსეს წინააღმდეგ კიდევ მოხდა მოძრაობა და ის იძულებული შეიქნა ხოზარებში გაქცეულიყო. აბოც თან წაიყვანა. აქ აბო მოინათლა და ქრისტიანობა მიიღო ცხადად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნერსემ გამოსთხოვა ხოზარებს აფხაზეთში წასვლის ნება და მივიდა იმ ქვეყანაში. აბოც თან მიჰყვა იმას. მაშინ მთელი აფხაზეთი ქრისტიანე იყო და ბერძენთ მეფის სამფლობელოს ეკუთვნოდა. აფხაზეთის ეპისკოპოზმა უფრო განავითარა აბო და დაამყარა ის ქრისტიანობაში. ქართლში ნერსეს მოადგილეთ დააყენეს იმის დისწული სტეფანოზი და ამ ახალი მთავრის თხოვნით ნერსეს მისცეს მაჰმადიანებმა ნება ქართლში დაბრუნებულიყო. აბომ არ დასტოვა ნერსე და თან გაჰმოყვა, თუმცა აფხაზეთის მთავარი და ეპისკოპოსი ურჩევდნენ იმას არ წასულიყო ქართლში, რადგან იქ მაჰმადიანები უფლობდნენ და ეშინოდათ ძალით თუ ნებით არ გადებირათ ის თავიანთკენ. აბომ დაარწმუნა ისინი, რომ რახან ის ერთხელ ეღირსა ნათელსა ქრისტესსა, ვეღარაფერი სატანჯველი ვერ აიძულებს მას უარჰყოს ქრისტე.

თბილისში მაჰმადიანებმა მართლა დაუწყეს აბოს დევნა და ხან აღთქმით, ხან დაცინვით და მუ-

ქარით აიძულებდნენ ისევ დაჰბრუნებიყო თავის ძველ სჯულს. მოწამე არ შეუდრკა ამას. მაჰმადიანებმა აცნობეს აბოს ამბავი თავიანთ მმართველს და მსაჯულს და მოითხოვეს იმისი დასჯა. ქრისტიანებმა გაიგეს ეს და ურჩევდნენ აბოს გაქცეულიყო, მაგრამ ამან ირჩია მიეღო ქრისტესთვის წამება. წ. მოწამე მოიყვანეს მსაჯულთან; ბევრი ეცადნენ აბოსთვის ქრისტიანობაზედ უარი ეთქმევინებინა, მაგრამ ამაოდ: ის ვერ შეაცდინა ვერც აღთქმამ, ვერც მუქარამ. მსასჯულმა ბრძანა აბოს ბორკილით დაჭედვა და დაპატიმრება. საპყრობილეში წმიდანი დღე და ღამ ლოცვაში და მარხვაში ატარებდა. ბავიდა წ. აბო დაპატიმრებიდამ ცხრა დღე და იმან გაიგო ზეგარდამო, რომ მისი აღსასრულის დღე მოახლოვებულიყო; მისცა თავის ზეციდამ ჩასაცმელი ტანისამოსი გასასყიდათ და სთხოვა, რომ იმის ფასით სანთელ-საკმელი ყიდნათ და ელოცნათ იმისთვის. თითონაც მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. დილით წმიდანი შეამზადა და ეზიარა წ. საიდუმლოთი. მოვიდნენ მტარვლები და წაიყვანეს წ. მოწამე.

მსაჯულმა კიდევ სცადა დეეტოვებინა ქრისტიანობა წ. აბოსთვის, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ბრძანა თავი მეეკვეთათ, წ. აბობ მორჩილად შეუშვირა ხმალს თავი. მტარვალმა სამჯერ ნელა დაჰკრა ხმალი, რომ შეემინებინა წმინდანი, მაგრამ ის მტკიცედ იდგა; მეოთხე დაკვრით მოჰკვეთა თავი. რომ ქრისტიანებს არ წაეღოთ იმისი გვამი, მსაჯულმა ბრძანა გვამის დაწვა და ნაკლის წყალში გადაყრა. დაწვეს წმიდანი და ნაცარი წყალში ჩაჰყარეს.

ღმერთმა ადიდა წამებული აბო: სადაც ის დაწვეს, იმ ადგილას ზეციდამ ნათელი ჩამოეფინა; ყველა ხედამდა იმ ნათელს. აგრეთვე იმ ადგილს, სადაც წმიდანის დანაშთენი ჩაჰყარეს წყალში, გამოჩნდა სვეტი ნათლისა და მდინარე გაანათა. ეს ამბავი 890 წელს მოხდა. წმ. აბოს ეკკლესია იანვრის 8-ს იხსენიებს.

ნარევი.

ცოცხლად დამარხული.

ტილზიტში ამას წინეთ გარდასწყვიტეს ადგილობითი სასაფლაოს გადიდება. ამიტომ მოიკვდომეს ზოგიერთი მიცვალებულების ამოღება მიწიდამ და სასაფლაოს გალავნის გარეთ დამარხვა, და დანიშნულ დღეს დაიწყეს მუშაობა. ამ მუშაობის დროს დიდ ძალი ხალხი მოაწყდა სასაფლაოს ქალაქიდამ. როდესაც ამოიღეს სასაფლაოდამ ერთი თვრამეტი წლის ქალის სხეული, რომელიც რამდენიმე დღის წინათ იყო დამარხული, საზოგადოებას საზარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ. მიცვალებული კუბოში იწვა თავ-დაღმა. ხელებში ჭქონდა თავიდგან მოგლეჯილი თმა, ხელები და პირის სახე მთლათ დაფხოჭილი ჭქონდა. იჭვი არ არის, რომ ქალი, იყო დამარხული, როცა ის ლოტარღიულ ძილში იყო, რომლისაგან ის გამოფხიზლდა ალბათ სასაფლაოში.

***

საშეალება გველის ნაკბენის წინააღმდეგ.

ბრაზილიის ექიმმა ლასერდმა, რიოჟანეიროს მუზეუმის დირექტორმა ქვა გუნდის სიმეავის კალში (въ марганцово—кисломъ кали) აღმოაჩინა უებარი საშეალება, რომელიც არჩენს კაცს გველის დაშხამვისაგან, ასე რომ ეხლა ბრაზილიაში გველის კბენა ისე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, როგორც მწერის ნაკბენი. ერთ ქალს უკბინა ძალიან შხამიანმა გველმა, რომელსაც ბრაზილიაში «Jurara ca pregosa» ეძახიან, და თუმც კბენის შემდეგ გავიდა ორი საათი, მაგრამ ქვა-გუნდის სიმეავის კალის 0,02 ღრანის ხორცში შესხმის შემდეგ ქალი მორჩა.

***

არა სასურველი სამსახური.

ვენაში ამას წინეთ შემდეგი შემთხვევა მოჰხდა: ერთმა კაცმა თავის ჩამოხრჩობა მოინდომა და შეალამეზე კიდეც შეასრულა თავის განზრახვა. ეს მალე შეუტყეს სხვებმა, გამოხსნეს თოკიდამ და მაშინვე ექიმი მოუყვანეს. ექიმმა, მეცადინობის შემდეგ, გადაარჩინა ეს კაცი სიკვდილს, მაგრამ მას ფული არ მისცეს. ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა ბარათი მისწერა ფულების თაობაზე იმ კაცს, რომელიც სიკვდილს გადაარჩინა. ამ კაცისაგან ექიმმა შემდეგი პასუხი მიიღო: «მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენმა წერილმა ძრიელ გამაკვირვა. მე თოკზე იმიტომ კი არ ჩამოკიდებულვარ, რომ თქვენ გადაგერჩინეთ სიკვდილისაგან. თუ თქვენ ეს კეთილი საქმე ჩაიდინეთ, ჩაიდინეთ კაცთ-მოყვარებისათვის, რომლისათვისაც ფულს არ იხდევინებიან. მაგრამ, თუ თქვენ მაინცა-და-მაინც გინდათ მიიღოთ ფული, მოსთხოვეთ იმას, ვინც მოგიწოდათ და წამოგიყვანათ. თუმც რომ ჩემი საქმეები კარგად მქონოდა, არც თავის ჩამოხრჩობას მოვინდომებდი. ახლა ჩემი საქმეები უარესი დაფუშული შეიქმნენ და მეც ამის შემდეგ სამასხაროდ აგდებული შევიქნები ყველა-

საგან; ამისათვის თქვენთვის მე ფულების მოცემა არ შემიძლია. სიკვდილისაგან დახსნით თქვენ მე ცუდი სამსახური გამიწიეთ და კიდევ ფულებს მთხოვთ?!»

მღვდელთა საყურადღებოდ.

წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენ პატივცემულ გაზეთ «მწყემსში» მღვდელთა საყურადღებოთ. «მწყემსი»-ს ამა წლის მე 2-რე №-ში იყო ზოგიერთი კითხვების ახსნა. სხვათა შორის მე 8-ე პუნკტში იყო მოყვანილი: პასექის დღეს და სხვა დიდ შესანიშნავ დღესასწაულებში გარდაცვალებულთა მოხსენება წირვაზე შეიძლება თუ არა?—ამისი განმარტება თქვენი კანონიერი იყო. გთხოვთ აგრეთვე განგვიმარტოთ შემდეგი: ღვთის მშობლის შობის და აგრეთვე ღვთის მშობლის ტაძრად მიყვანების დღეებში შეიძლება მიცვალებულის გვამის შეტანა ეკლესიაში თუ არა? შეიძლება თუ არა საიდემლო ქორწინების აღსრულება 14 ნოემბერს—დილით, შუა დღისას, ანუ საღამოთი? ამ ზემოხსენებულ კითხვებს მღვდლები სხვა ნაირათ ხსნიან და სხვა-და-სხვა ნაირათაც ასრულებენ. ამისათვის გთხოვთ განმარტოთ დაწვრილებით ეს კითხვები მახლობელს ნომერში და ამით გამოიყვანოთ ზოგიერთი მღვდლები ეჭვებისაგან:

მიცვალებულთ გვამის შეტანა ეკლესიაში შეიძლება მხოლოდ წესის ასასრულებლად გარდა იმ დღეებისა, რომელიც ჩვენ წინა კითხვების განმარტებაში მოგიხსენიეთ. და ერთ დღეზე მეტი, ისიც ძლიერ საჭიროების დროს, ეკლესიაში მიცვალებულის გვამის გაჩერება არ შეიძლება. (იხილე უუწმიდესი სინოდის უქაზი 1812 წლისა ივლისის 16 რიცხვიდამ. ინსტრუკცია ბლაღოჩინთა § 16, 1866 წ.)

გვირგვინის კურთხევა 14 ნოემბერს შუადღემდის შეიძლება მეორე დღის მწუხრის შემოსვლადმდე, თუ ეს დღე ისეთი დღე არ არის, როდესაც გვირგვინის კურთხევა აღკრძალულია, მაგალითებრ: კვირა, ოთხშაბათი და პარასკევი.

შეწირულება.

თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე «ძმობის» სასარგებლოდ ბლაღოჩინის დეკანოზის იესე სისორდიასაგან ჩვენ მივიღეთ ოცდა შვიდი ბარეთი და ორი აბაზი.

ეს ფულები შემოსწირეს:

დეკანოზმა	იესე სისორდიამ	1	მან.
მღვდელმა	ლაზარე ოდიშარიამ	1	—
—	იოანე ოდიშარიამ	1	—
—	პავლე გეგენავამ	1	—
—	მარკოზ გელაჭეიშვილმა	1	—
	ვასილ თურქიამ	1	—
—	იოანე ქავთარაძემ	1	—
	გიორგი ჯინორიძემ	1	
—	ბესარიონ ძიძიგურმა	1	
—	გიორგი სახოკიამ	1	—
—	გიორგი გვასავამ	1	—
—	ეგნ. კალანდარიშვილმა	1	—
	იოანე ჭიჭინაძემ	1	—
—	სიმონ სახოკიამ	1	
—	ვასილ ხარბელიამ	1	—
—	გიორგი კვირკველიამ	1	—
—	ისიდორე ბაბილუამ	1	—
—	ათანასე ბაბილუამ	1	—
—	გიორგი გარუჩავამ	1	—
—	ნიკოლოზ დათუაშვილმა	1	—
—	ბესარიონ არჩაიამ	1	—
—	ევთიმე ჯინორიძემ		40 კ.
—	ითანე სვანიძემ		60 კ.
და ოცდა ორი მედავითნეთაგან			
აბაზისაგან	— — —	4	მან. 80 კ.
	და სრულიად	17	მან. 40 კ.

ეს ფულები დანიშნულებისა მებრ წარიგზავნა ჩვენგან.

რედაქციისაგან.

სვენეთში. მ. დეკ. ი. ვ—ძეს. ჩვენი გამოცემა არასოდეს არ შეჩერებულა. გული გულობდეს და გონების ვარჯიშობის სიხალისე იყოს, თორემ სადაც უნდა იყოს კაცი არსად არ დაიკლებს გაზეთების და ჟურნალების კითხვას. განა ცოტანი არიან თვითონ ქუთაისში მცხოვრებნი, რომ გაზეთ-ჟურნალებს არ კითხულობენ?!.

თავის დროზე რომ გაზეთი არ მიიღოთ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაზეთი შეჩერებულიყოს.

განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის ქართულ საეკლესიო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახიერიელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო დასაეკლესიო მოსამსახურეპირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა თვეში სამჯერ, თორმეტი გვერდი და ხან-დახან თექვმეტიც.

რუსული დამატება „მწყემსი“-საც პროგრამით და მიმართულებით გამოვა თვეში ორჯერ, ორ ფურცლამდე თითო ნომერი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Микеми“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

შენიშვნა:

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უფუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის ქართულ ლიტერატურულ გაზეთ

„თეატრი“

პროგრამმა და სივრცე გაზეთი «თეატრისა» იგივე დარჩება, რაც წარსულ წელში იყო.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით.

ფასი «თეატრი»-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერთათვის ორს ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით—სამი (3) მანეთი.

სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა მიიღება მსოლოდ „თეატრ“-ის რედაქციაში.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ редакцію газеты «ТЕАТРЪ».

რედაქტორი ⁄ გამომცემელი ვ. ანაშიძე.

შინაარსი: დავიჯეროთ?—იმერეთის ეპარქიის საღვდელოების დეპუტატთა ურიდობა.—სამეურძაანოდამ.—ვარძიის მონასტერი—პედაგოგიური მოსაზრებისა გამო.—ახალი ამბები ⁄ შენიშვნები.—ტელეგრამმები.—დიდ-მარხვის წინ.—ნარევი.—მღვდელთა საუურადღებოდ.—შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

Доз. цензурою Кутаисъ, 9 Февраля 1886 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. დამბაშიძე.

მსწრაფლბეჭდავი ზედგინიძისა ⁄ ფერაძისა.